სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 სექტემბერი, 2023 წელი

ბრძანება №01-02/185

სწავლის საფასურის დავალიანების მქონე, 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 1 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივის გაზიარების შესახებ 2023 წლის 18 სექტემბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის, ,,ბსუ-ს რექტორის, პროფესორ მერაბ ხალვაშის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 სექტემბრის N01-14/542 ბრძანების, ,,სწავლის საფასურის დავალიანების მქონე, 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N07-01/47 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N07-01/47 გადაწყვეტლების გათვალისწინებით, **სწავლის საფასურის დავალიანების მქონე** ბსუ-ს სტუდენტებისათვის, რომლებსაც 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ჰქონდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული და არ გასულა 5 წელი სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან, 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან მათი <u>შიდა მობილობის გარეშე</u> ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესში დაბრუნების მსურველ, სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაცია სტუდენტური პორტალის (https://portal.bsu.edu.ge) შესაბამისი მოდულის საშუალებით - **2023 წლის 28 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით;**

ბ) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ ბსუ-ს პორტალის მოდულში რეგისტრირებულ სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა ელექტრონული განცხადებების ტექნიკური გადამოწმება და დადასტურება - **2023 წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით;**

გ) ამ პუნქტის ,,ა'' და ,,ბ'' ქვეპუნქტით განსაზღვრული აქტივობების ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზის შემთხვევაში სასწავლო პროცესში დაბრუნების მსურველის მიერ რეგისტრაციის კორექტირება - **2023 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით;**

დ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობისა და კრედიტების აღიარების დასკვნების მომზადება და ელექტრონული ვერსიების (ხელმოწერილი და სკანირებული) ატვირთვა ბსუ-ს პორტალის მეშვეობით, მოდულის შესაბამის ველში - **2023 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით;**

ე) სასწავლო პროცესში დაბრუნების მსურველის მიერ კრედიტების აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ ბსუ-ს პორტალის მოდულის საშუალებით თანხმობის ან უარყოფის ელექტრონულად დაფიქსირება და 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის საფასურის არანაკლებ **40%-ის გადახდა (პირველ ეტაპზე გადასახდელი საფასური)- 2023 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით,** ხოლო სწავლის საფასურის დარჩენილი ოდენობის გადახდა - მე-2 და მე-3 ეტაპზე, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

ვ) სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით ბსუ-ს პორტალზე დარეგისტრირებული სტუდენტების მონაცემების შესახებ ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა - **არაუგვიანეს 2023 წლის 9 ოქტომბრისა;**

ზ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამსახურებრივ ბარათში აღნიშნული სტუდენტების მიერ 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის (პირველ ეტაპზე გადასახდელი თანხის) გადახდის თაობაზე ინფორმაციის ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენა - **2023 წლის 09 ოქტომბერი;**

თ) წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ შემაჯამებელი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა, თანდართული ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტით, 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს იმ სტუდენტთა ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების თაობაზე, რომლებმაც შეასრულეს წინამდებარე ბრძანების მოთხოვნები და გადაიხადეს დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური - **2023 წლის 9 ოქტომბერი;**

ი) ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემა და სასწავლო პროცესში დაბრუნებული ბსუ-ს სტუდენტების 2023 წლის 1 აგვისტომდე არსებული სწავლის საფასურის დავალიანების მოხსნის (გათავისუფლების) საკითხის განხილვისათვის ბსუ-ს რექტორისა და

ადმინისტრაციის ხელმღვანელის ერთობლივი წარდგინების წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენა - 2023 წლის 10 ოქტომბერი.

2. ბსუ-ს ფაკულტეტებმა, სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული პროცესის საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის (№01-02/143, 01.08.2023 წ.) შესაბამისად წარმართვა.

3. სტუდენტთა საჯარო ინფორმირებისათვის წინამდებარე ბრძანების შესაბამისი განცხადება განთავსდეს განცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე და ბსუ-ს პორტალზე.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს და აკადემიურ საბჭოს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (ასევე სამსახურებს), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორის მოადგილე, პროფესორი,

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ა. ბერიძე